

~ რაც ~ უფრო მეტს ვმოძრაობთ ~ მით ~ უფრო მეტს ვსწავლობთ!



აქტივობათა ბარათების ნაკრები გაკვეთილების ფორმატში გამოსაყენებლად.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ფიზიკური აქტივობა დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, საშუალებას აძლევს რა მოსწავლეებს იყვნენ მეტად კონცენტრირებული, ყურადღებიანი და მეტი ენთუზიაზმით ჩაერთონ სწავლის პროცესში. მოძრაობა გარემოს კვლევას გულისხმობს და ხელს უწყობს საკლასო გარემოში ცვლილების შეტანას, კონკრეტულად, კლასი აღარ წარმოადგენს კონტროლირებად ჯგუფს და მოსწავლეები მეტ თავისუფლებას გრძნობენ, რაც ასევე დადებითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე და მათ ემოციურ კეთილდღეობაზე.

გაკვეთილის დროს მოსწავლეთა ფიზიკური მოძრაობა და გადაადგილება შესაძლოა სარისკო და კლასში არეულობის გამომწვევ ელემენტად იქნას აღქმული. თუმცა, სათანადო მართვის პირობებში, მოძრაობა არა მხოლოდ მოსწავლეთა სწავლის პროცესს შეუწყობს ხელს, არამედ წაახალისებს მათ შემოქმედებით აზროვნებასა და კომუნიკაციას მოსწავლეებს შორის და ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.

ბარათებზე მოცემულია აქტივობები, რომელთა ჩართვაც შესაძლებელია გაკვეთილების ფორმატში. მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ მასალის აღქმასა და უკეთესად დამახსოვრებას, აქტიური სწავლის საშუალებით.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი კატეგორიის აქტივობას ირჩევთ, საჭიროა:

- აუხსნათ მოსწავლეებს, თუ რატომ არის ფიზიკური აქტიურობა საჭირო მთელი დღის მანძილზე
- შექმნათ სათანადო ატმოსფერო, რომელშიც თავს თითოეული მოსწავლე კონფორტულად გრძნობს და არავის რჩება გარიყულობის შეგრძნება
- დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს სურთ ახალი აქტივობის შესრულება
- მიიღეთ აქტიური მონაწილეობა, რათა მოსწავლეები წაახალისოთ რომ შემოგიერთდნენ და მოგბაძონ

მოცემული ბარათები წარმოადგენს იმ მასალის ნაწილს, რომელიც განთავსებულია მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის ხელმძღვანელებისა და მშობლებისთვის განკუთვნილ ვებ-გვერდზე და რომელიც დემოკრატიის სწავლას ეხება. შერჩეული მიდგომა იმაზე მეტყველებს, რომ სკოლა წარმოადგენს მიკრო საზოგადოებას, რომელიც მის წევრებს არა მხოლოდ სწავლის შესაძლებლობებს, არამედ დემოკრატიული ცხოვრების შესაძლებლობებს უნდა აძლევდეს. იხ. ვებ-გვერდი: www.living-democracy.com/ge/

1. წერილობითი დავალება სიარულის თანხლებით (კარუსელი)

წერილობითი დავალებისთვის განკუთვნილი კითხვები დაწერეთ ცალ-ცალკე ფურცლებზე და გააკარით კედლებზე ან დაფაზე. მოსწავლეები, რვეულებით ხელში, გადაადგილდებიან საკლასო ოთახში, ერთი კითხვიდან მეორე კითხვისკენ და პასუხობენ კითხვებს საკუთარ რვეულებში ჩანაწერების გაკეთებით.



ალტერნატიული ვარიანტი:

- მოსწავლეები საკუთარ რვეულებს ტოვებენ მერხებზე და ცდილობენ დაიმახსოვრონ კედელზე გაკრული კითხვა, მიდიან საკუთარ მერხთან და რვეულში ინიშნავენ პასუხებს.
- მოცემული აქტივობის გამოყენება შესაძლებელია ტექსტის გადაწერაში ვარჯიშის დროსაც: მოსწავლეები დადიან საკლასო ოთახში და აგროვებენ ტექსტის ნაწილებს, რათა ჩაიწერონ სრული ტექსტი.

ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაცვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

2. პასუხის ძიება

მოსწავლეები დაყავით ორ ჯგუფად. კლასის ნაწილი წერს სიტყვას ბარათზე, ხოლო მეორე ნაწილი სიტყვის განმარტებას. აურიეთ ბარათები და თითო მოსწავლეს გადაეცით თითო ბარათი. მოსწავლეები იწყებენ საკლასო ოთახში გადაადგილებას და ცდილობენ შეაწყვილონ სიტყვა და მისი განმარტება. დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან შეგიძლიათ გამოიყენოთ სიტყვების, ასოების ან რიცხვების შეწყვილება შესაბამის ნახატებთან. იგივე აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ მათემატიკური მაგალითების ან ამოცანების შემთხვევაში, რა დროსაც მოსწავლეებს ვალებათ მათი დაკავშირება მათ პასუხებთან.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაცვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

3. კითხვა-პასუხი-გაჭიშვია


დაურიგეთ მოსწავლეებს ფურცლები. ამ დროს მოსწავლეები სხედან ან დგანან მერხებთან. დაუსვით მათ კითხვა და სთხოვეთ კითხვაზე გასცენ პასუხი წერილობით, მათთვის დარიგებულ ფურცლებზე, დიდი ასოებით ან ციფრებით. ყველა მოსწავლე, მას შემდეგ რაც კითხვას უპასუხებს, მაღლა სწევს ფურცელს, თავს ზევით გაჭიმული ორივე ხელით. მასწავლებელი ამოწმებს პასუხებს. აქტივობა ყველაზე მარტივად გამოიყენება არჩევით პასუხიან კითხვებთან.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

4. საუბარი სიარულის თანხლებით

მოსწავლეები დაყავით ორი ან სამი მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებად და მიეცით მათ დავალება, რომელიც უკავშირდება გაკვეთილზე განსახილველ თემას. მოსწავლეებს თემის განსახილველად მიეცით 5 წუთი, რა დროსაც მათ საკლასო ოთახში უნდა იარონ და ისე განიხილონ თემა. აქტივობის დასასრულს, მოსწავლეთა გუნდები საკუთარ დასკვნებს აცნობენ კლასს.




ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

5. თოვლის გუნდა

ყველა მოსწავლე ფურცლებზე წერს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ ამოცანებს ან კითხვებს; მოსწავლეები ამ ფურცლებისგან აკეთებენ „გუნდებს“ (შესაძლებელია „თვითმფრინავების“ გაკეთებაც, თუმცა ამ დავალების შესრულებას დიდი დრო სჭირდება) და მასწავლებლის მიერ მიცემულ ნიშანზე მოსწავლეები ისვრიან ქაღალდის „გუნდებს“ კლასში, ნებისმიერი მიმართულებით, თითოეული მოსწავლის შემთხვევაში „გუნდების“ რაოდენობა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 5-ს. შემდეგ ისინი დგებიან და იღებენ ერთ ქაღალდის „გუნდას“ და პასუხობენ მასზე დასმულ კითხვას ან ხსნიან მასზე მოცემულ ამოცანას.

*ფურცლებზე მოსწავლეებმა შესაძლებელია დაწერონ საკუთარი გვარი და სახელი და, აქტივობის დასასრულს, მოსწავლეები მიმართავენ კითხვის ავტორს, პასუხის გადასამოწმებლად.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

6. მართლწერა და ვარჯიში (ინგლისური ენის გაკვეთილებისათვის)

ანბანში შემავალი თითოეული ასო-ბგერისთვის მოიგონეთ თითო ფიზიკური ვარჯიში (ნიმუში მოცემულია ქვემოთ) და პოსტერზე დატანილი ინსტრუქცია მოათავსეთ მოსწავლეებისათვის თვალსაჩინო ადგილზე. დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ შერჩეული ვარჯიშის შესრულებას ყველა მოსწავლე შეძლებს. დაავალეთ მოსწავლეებს გაიმეორონ ანბანი, ყველა ასო-ბგერის შესაბამისი ვარჯიშის შესრულებით; ან მოსწავლეებს დაავალეთ იმუშაონ წყვილებში, რა დროსაც ერთი მოსწავლე შეეცდება ასო-ბგერების შესაბამისი ვარჯიშებით სიტყვის მართლწერას, ხოლო მეორე მოსწავლე მას ჩაიწერს; შეარჩიეთ მოსწავლე, რომელიც მოსწავლეებს დაურიგებს ახალ შესასწავლ სიტყვებს და წყვილები შეეცდებიან ერთმანეთს მიახვედრონ რა სიტყვა ერგოთ მათ თითოეული ასო-ბგერის შესაბამისი ვარჯიშის თანმიმდევრულად შესრულებით.

- A. მუხლების მონაცვლეობით აწევა - 20-ჯერ
- B. ცალ ფეხზე დადგომა - 20 წამის განმავლობაში
- C. ფეხის წვერებზე წამოწევა - 20-ჯერ
- D. ჩაკუზვა და წელში გამართვა - 10-ჯერ
- E. ადგილზე ხტუნვა - 20-ჯერ
- F. ცეკვის ილეთი - 30 წამის განმავლობაში
- G. წვივების მონაცვლეობით სხულის უკან აწევა - 10-ჯერ თითო ფეხზე
- H. წინ გაშლილი მკლავების ერთმანეთის მიმართულებით ზევით-ქვევით მოძრაობა
- I. ადგილზე მარშირება
- J. ხტუნვა ერთად მონაცვლეობით - მიჯრილი და განზე გაშლილი ფეხებით და მკლავების თავს ზემოთ აწევითა და დაწევით - 20-ჯერ
- K. ახტომისას ფეხების ქუსლების ერთმანეთზე მირტყმა - 10-ჯერ
- L. ნაბიჯის წინ გადადგმა და ჩამუხვლა, მონაცვლეობით - 10-ჯერ
- M. ოთხზე დგომისას, ფეხებით წინ და უკან ხტუნვის შესრულება (კლდეზე ცოცვის იმიტაცია) - 15-ჯერ



- N. მაჯაზე ხელის დადებით პულსის გაზომვა
- O. ცალ ფეხზე მონაცვლეობით ხტუნვა 10-ჯერ
- P. ძირს დაწოლილ მდგომარეობაში მკლავებზე აწევა
- Q. წელის დაღევა
- R. ადგილზე სირბილი - 15 წამის განმავლობაში
- S. ნელა ჩაჯდომა წინ გაწვდილი მკლავებით - 10-ჯერ
- T. მონაცვლეობით ფეხების განზე სროლა - 10-ჯერ თითო ფეხზე
- U. ფეხები განზე, მონაცვლეობით მარჯვენა და მარცხენა ფეხის ტერფებთან ხელების მიტანა
- V. ძირს მჯდომარე მდგომარეობაში ზურგის და ფეხების ერთდროულად აწევა - 20 წამის განმავლობაში
- W. საკლასო ოთახის შემოვლა
- X. სკამზე ასვლა და და ჩამოსვლა, მონაცვლეობით მარჯვენა და მარცხენა ფეხით - 10-ჯერ
- Y. წაღიწინება - 10 წამის განმავლობაში
- Z. ორივე ფეხით მარჯვნივ და მარცხნივ ხტუნვა - 20-ჯერ

ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

7. სიტყვების დაკავშირება განმარტებებთან


ახალი სიტყვების აქტიური შესწავლა. მოსწავლეებს ურიგდებათ ორ-ორი სუფთა ბარათი, ერთზე წერენ სიტყვას, მეორეზე - ამ სიტყვის განმარტებას. მასწავლებელი ასრულებს ზედამხედველის როლს, თუ კლასში კენტი რაოდენობით არიან მოსწავლეები წარმოდგენილი, ზედამხედველის როლს ასრულებს ერთი მოსწავლე. ბარათები აურიეთ და დაურიგეთ მოსწავლეებს. მოსწავლეები საკლასო ოთახში დგებიან ნებისმიერ მათ მიერ შერჩეულ ადგილზე. იმ მოსწავლეებმა, რომლებსაც შეხვდათ ბარათები ზედ დაწერილი სიტყვებით, ბარათები ზევით უნდა ასწიონ, გაშლილი მკლავებით. მოსწავლეებმა, რომლებსაც შეხვდათ სიტყვების განმარტებები, უნდა მოძებნონ მოსწავლე, რომელსაც უჭირავს ბარათი განმარტების შესაბამისი სიტყვით. აქტივობა გაიმეორეთ შებრუნებით, თავს ზემოთ ბარათები უნდა ასწიონ იმ მოსწავლეებმა, რომლებსაც შეხვდათ განმარტება და მოსწავლეები, რომლებსაც შეხვდათ სიტყვა, სწრაფად ცდილობენ მოძებნონ მოსწავლე შესაბამისი განმარტებით ხელში.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაცვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

8. სწორია/მცდარია

მოამზადეთ გაცვეთილის თემის შესაბამისი წინადადებები, რომელთა შემთხვევაშიც მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სწორია თუ არა წინადადება. სკამები განალაგეთ წრეზე. მოსწავლეები დადიან სკამების გარშემო და ისმენენ მასწავლებლის წინადადებას, თუ ისინი მიიჩნევენ რომ წინადადება სწორია, ჯდებიან ახლოს მდებარე სკამზე, თუ მიიჩნევენ რომ მცდარია, ასრულებენ იდაყვის მუხლთან მიტანის სავარჯიშოს.




ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაცვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

9. აქტიური ლიტერატურა

წაკითხვით მოსწავლეებს ამონარიდი ლიტერატურული ნაწარმოებიდან ან საგაზეთო სტატიიდან, ან დაავალეთ ერთ მოსწავლეს წაიკითხოს ამონარიდი ხმამაღლა. წინასწარ შეარჩიეთ ამონარიდში ხშირად განმეორებადი სიტყვები და უთხარით მოსწავლეებს, რომ როგორც კი ამ სიტყვებს გაიგონებენ სკამიდან უნდა წამოდგნენ ახტნენ და ისევ დაიკავონ საკუთარი ადგილი.


ასევე შეგიძლიათ მოსწავლეებს დაავალოთ იგივე ვარჯიში შეასრულონ, როგორც კი ტექსტში გაიჟღერებს, ზმნისზედა, ზმნა და ა.შ.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

10. გამოკითხვა ფიზიკური ვარჯიშის თანხლებით


შეადგინეთ 5 არჩევით პასუხიანი კითხვა, რომლებიც გაკვეთილზე განსახილველ თემას უკავშირდება. თითოეულ პასუხზე (ა, ბ, გ დ) წინასწარ შეარჩიეთ ფიზიკური აქტივობა (მაგალითად, ა) = გაშლილი მკლავებით წელის გარშემო წრიული მოძრაობების გაკეთება; ბ) = ადგილზე მარშირება; გ) = ხელების მიტანა ფეხის წვერებთან; დ) = ჩაჯდომა). წაიკითხეთ კითხვები ხმამაღლა და სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ მათ მიერ შერჩეული სწორი პასუხის შესაბამისი ვარჯიში. ვარჯიშის შესრულებისთვის მიეცით მოსწავლეებს 20 წამი და შემდეგ ხმამაღლა გამოაცხადეთ სწორი პასუხი. აღნიშნული აქტივობა შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი საგნის გაკვეთილზე.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

11. სწორი კომბინაცია (მათემატიკის გაკვეთილისთვის)

თითოეულ მოსწავლეს დაურიგეთ ბარათები 1-დან 10-მდე ციფრით. მოსწავლეები იმ ციფრს, რომელიც მათ ერგოთ, შესაბამისი რაოდენობის თითების აწევით აჩვენებენ კლასს. დაფაზე დაწერეთ რიცხვი, რომელიც აღემატება 10-ს. მოსწავლეები გადაადგილებიან საკლასო ოთახში და ეძებენ მოსწავლეებს, რათა იმ რიცხვების ჯამმა, რომლებიც მათ ხვდათ წილად, შეადგინოს დაფაზე დაწერილი რიცხვი. აქტივობის დროს აკრძალულია საუბარი.




ალტერნატიული ვარიანტი: თქვენი ნიშანის გაგონების შემდეგ, მოსწავლეები ზევით წევენ თითებს, ანიშნებენ რა მათ მიერვე შერჩეულ ციფრს (1-დან 10-მდე). ამის შემდეგ თქვენ დაფაზე წერთ 10-ზე მაღალ რიცხვს და მოსწავლეები იწყებენ ერთმანეთის ძებნას, რათა მათ მიერ შერჩეული რიცხვების ჯამმა შეადგინოს დაფაზე დაწერილი რიცხვი.

ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

12. ხილის სალათა

მოსწავლეები სხედან წრეზე განლაგებულ სკამებზე, მასწავლებელი დგას ცენტრში. ყველა მოსწავლეს უსახელებთ ერთ ხილს, ამასთან ხილის სახელწოდებები მეორდება, მაგალითად, ვაშლი, ატამი, ბანანი. შემდეგ თქვენ ასახელებთ ერთ ხილს, მაგალითად „ვაშლი“, რა დროსაც ყველა მოსწავლე, რომელსაც ვაშლი დაუსახელებთ, ადგილიდან დგება და ეძებს სხვა სკამს რათა დაიკავოს იგი. თქვენ შეგიძლიათ წარმოთქვათ „ხილის სალათა“, რა დროსაც ყველა მოსწავლე დგება სკამიდან და იწყებს ახალი სკამის ძებნას, რათა დაიკავოს იგი.




ალტერნატიული ვარიანტები:
მათემატიკის გაკვეთილზე, კატეგორიებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ლუწი და კენტი რიცხვები, ან 2-ის, 3-ის 4-ის ან 5-ის ჯერადი რიცხვები. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ დასახელებული რიცხვია 15, უნდა წამოდგნენ მოსწავლეები, რომლებსაც წილად ხვდათ 3-ის ჯერადი და 5-ის ჯერადი კატეგორია, და მოძებნონ სხვა სკამი და დაიკავონ იგი.
საბუნებისმეტყველო საგნის გაკვეთილზე კატეგორიებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ხმელეთის და წყლის ცხოველები.
გეოგრაფიის გაკვეთილზე - ქვეყნები, ქალაქები და კუნძულები.
ბიოლოგიის გაკვეთილზე - თევზები, ფრინველები და ქვეწარმავლები.
ენის გაკვეთილზე - ზმნები, ზედსართევები ან არსებითი სახელები.
სოციალური მეცნიერებების გაკვეთილზე - სოციალიზმი, ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი, რა დროსაც წრის ცენტრში მდგომი პირი ასახელებს პოლიტიკოსს ან პოლიტიკურ პარტიას

ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

13. წრეზე მოძრაობა

მოსწავლეების ნახევარი ღებდა წრეზე, ცენტრისკენ ზურგშექცევით. მოსწავლეთა მეორე ნახევარი იკავებს ადგილს ცენტრისკენ ზურგშექცევით მდგარ მოსწავლეებთან პირისპირ. ისე რომ მოსწავლეთა წყვილები წრის გარშემო იდგნენ ერთმანეთის პირისპირ.

მოსწავლეებს სთხოვთ ერთმანეთს ჩამოართვან ხელი, რათა დარწმუნდეთ, რომ არავინ არის დარჩენილი მეწყვილეს გარეშე. მოსწავლეებს მიეცით სასაუბრო თემა ან კითხვა, რომლებსაც ისინი 2 წუთის განმავლობაში განიხილავენ წყვილებში. დროის ამოწურვის შემდეგ, მოსწავლეთა გარე წრე მარცხნივ გადაინაცვლებს და, ან იგივე თემას და კითხვას განიხილავს ახალ მეწყვილესთან, ან თქვენ მიერ დასმულ ახალ კითხვას. აქტივობა შესაძლებელია შესრულდეს წრიულად სკამებზე მსდომი მოსწავლეების მონაწილეობით; და კითხვების განხილვის შემდეგ მოსწავლეების შიგა ასევე გარე წრეებსაც სთხოვთ მარცხნივ ან მარჯვნივ გადაადგილება.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

14. ხელბურთი


მოსწავლეები ღებებიან წრეზე, მსუბუქი ბურთით ან ნაჭრის ბურთით, რომელსაც ერთმანეთს უგდებენ. როდესაც მოსწავლე დაიჭერს ბურთს, მან მასწავლებლის მითითებით უნდა დაასახელოს, მაგალითად, ფერი, სიტყვა, რომელიც იწყება კონკრეტულ ასო-ბგერაზე, გასცეს პასუხი გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ კითხვას. თუ მოსწავლეს არ სურს პასუხის გაცემა, ბურთი უნდა გადაუგდოს სხვა მოსწავლეს.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

15. ფეხზე წამოვადგეთ ახალ სიტყვებს

ერთი და იგივე ასო-ბგერაზე დაწყებული ახალი სიტყვების გამოყენებით შეთხზეთ ლექსი ან სიმღერის ტექსტი. როდესაც ლექსის კითხვის დროს, ან სიმღერის დროს მოსწავლეები გაიგონებენ შერჩეულ ასო-ბგერაზე დაწყებულ სიტყვას, ისინი უნდა წამოდგნენ, თუ მოსწავლეები სხედან, ან დაჯდნენ, თუ ისინი ფეხზე დგანან.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

16. მარტივი კონკურსი

მოსწავლეები ქმნიან 3 ან 4 მოსწავლისგან შემდგარ გუნდებს. დასვით კითხვები და მიეცით გუნდებს დრო მოსაფიქრებლად. როდესაც გუნდი ჩათვლის, რომ მას უკვე აქვს სწორი პასუხი კითხვაზე, ისინი ირჩევენ მოსწავლეს, რომელიც მიდის და დაფაზე წერს პასუხს. პირველი გუნდი, რომელიც დაფაზე სწორ პასუხს დაწერს ასრულებს ხტუნვას ერთად, მონაცვლეობით - მიჯრილი და განზე გამლილი ფეხებით და მკლავების თავს ზემოთ აწევითა და დაწევით - 5-ჯერ; დანარჩენი გუნდები იგივე სავარჯიშოს ასრულებენ 15-ჯერ.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

17. იპოვე კითხვა


თითოეული მოსწავლე ფურცელზე წერს ერთ კითხვას, რომელიც უკავშირდება გაცვეთილის თემას. მოსწავლეთა ნახევარი თვალეზდახუჭული ზის, სანამ დანარჩენი ნახევარი საკუთარ ფურცლებს დამალავს საკლასო ოთახში. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მორჩებიან ფურცლების დამალვას, მოსწავლეთა მეორე ნახევარი იწყებს მათ ძებნას, და რომელი მოსწავლეს რომელ კითხვას იპოვის იმ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. შემდეგ მოსწავლეთა ჯგუფები ცვლიან როლებს.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაცვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასობის ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

18. X და O

შეადგინეთ "X და O"-ის ცხრილი იატაკზე, ქაღალდების, თოკებისა ან სხვა მასალის გამოყენებით. მოსწავლეები დაყავით ორ ჯგუფად "X" ჯგუფად და „O" ჯგუფად. დაუსვით მოსწავლეებს საგაცვეთილო თემასთან დაკავშირებული კითხვები. ჯგუფს, რომელიც სწორი პასუხს პირველი გასცემს, ეძლევა უფლება საკუთარი სიმბოლო დასვას ცხრილში.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაცვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასობის ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

19. დაფაზე გაკრული სიტყვები

მომზადეთ დაფაზე გასაკრავი ბარათები, რომლებზეც დატანილი იქნება გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვები ან ცნებები და გააკარით ბარათები დაფაზე არეულად. მოსწავლეები გადაანაწილეთ წყვილებში ან სამ-სამი მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებში და დააყენეთ მწკრივებში; ამასთან, მწკრივის თავში მდგომი მოსწავლე დგება დაფისკენ ზურგშექცევით.

წარმოთქვით სიტყვის ან ცნების განმარტება, მას შემდეგ, რაც განმარტებას დაასრულებთ, დაფისკენ ზურგშექცევით მდგომი მოსწავლეები ტრიალებიან და ცდილობენ სწრაფად მოძებნონ განმარტების შესაბამისი სიტყვა ან ცნება და დაასწრონ სხვებს მისი დაფიდან ჩამოხსნა, რის შემდეგაც მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ გუნდს და დგებიან მწკრივის ბოლოში. შემდეგი განმარტების მოსასმენად დაფისკენ ზურგშექცევით დგებიან ის მოსწავლეები, რომლებიც მწკრივის თავში აღმოჩნდებიან და იმეორებენ იგივეს. გამარჯვებულია გუნდი, რომელსაც ხელთ ყველაზე მეტი ბარათი აღმოაჩნდება.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.

20. თავსატეხი

ყველა მოსწავლეს დაურიგეთ თითო ფურცელი, რომელზეც იქნება დაწერილი ან საკვანძო სიტყვა ან კითხვა. მას შემდეგ რაც მოსწავლეებს მისცემთ ნიშანს, ისინი იწყებენ საკლასო ოთახში სიარულს და კითხვაზე პასუხების მიხედვით გუნდების შექმნას. მაგალითად, მოსწავლემ, რომელსაც შეხვდა კითხვა: „რა ფერებშია საბერძნეთის დროშა?“ უნდა მოძებნოს მოსწავლეები, რომელთა ფურცლებზეც წერია „ლურჯი“ და „თეთრი“, და ეს მოსწავლეები ქმნიან სამკაციან გუნდს.



ფიზიკური აქტივობის ჩართვა, ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა საგნების გაკვეთილის ფორმატში. ფიზიკური მოძრაობა შესაძლებელია გახორციელებული იქნას მათემატიკის ამოცანის ამოხსნისას, ასოების ან სიტყვების ამოცნობისას, კითხვისას, ასევე მოსწავლეთა გუნდებად მუშაობისას.